საიდ. N77434/03

IR 1204105

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N116-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), ს. დუმბაძე, ა. დალაქიშვილი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისა და 2015 წლის 31 აგვისტოს Nა-219 სააპელაციო საჩივრის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გაუმართავად განიხილა კომპანიის „კნჰ ინდუსტრიალ ნ.ვ.“ (CNH INDUSTRIAL N.V.) (მის: კრანეს ფარმ როად, ბასილდონ ესსექს SS143 AD; გაერთიანებული სამეფო; Cranes Farm Road, Basildon ESSEX SS143AD, United Kingdom) სააპელაციო საჩივარი (საიდ. N116-03/15), რომლითაც მოითხოვება „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 27 მაისის N1757/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „CNH INDUSTRIAL“

(საიდ. N77434/03, IR 1204105) დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-7 და 12-ე კლასები).

საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 27 მაისის N1757/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებული კომბინირებული სასაქონლო ნიშანი „CNH INDUSTRIAL“ მსგავსია კომპანიის „კნჰ გლობალ ნ.ვ.“ (CNH GLOBAL N.V.) (მის: ამსტერდამ ეაპორტ, შიპჰოლ ბულვარ 217, 118 BH შიპჰოლ-ეაპორტ; amsterdam Airport, Schiphol Boulevard 217, 118 BH Schiphol Airport) სახელზე რეგისტრირებული ორი სასაქონლო ნიშნისა: „CNH“ (რეგ. 14924; რეგ. თარიღი: 30/01/03) და „CNH“ (კომბინირებული ნიშანი) (რეგ. 14925; რეგ. თარიღი: 30/01/03) მე-7 და მე-12 კლასების საქონლის მსგავსი ჩამონათვალისათვის. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცახადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ფონეტიკური და ვიზუალური თვალსაზრისით. განცხადებული და ორივე დაპირისპირებული ნიშანი შედგება ლათინურ ენაზე შესრულებული მსგავსი სიტყვიერი ნაწილისაგან, რომელიც სამივე ნიშნის შემთხვევაში არის - „CNH“. რაც შეეხება დაპირისპირებულ კომბინირებულ სასაქონლო ნიშანს „CNH“ (რეგ. 14925; რეგ. თარიღი: 30/01/03), მას აქვს გამოსახულებითი ელემენტიც. ამასთან, განცხადებულ ნიშანს აქვს დამატებითი სიტყვიერი ელემენტი - „INDUSTRIAL“ და გამოსახულებითი ნაწილი. აღნიშნული ელემენტები განცხადებულ ნიშანს არ სძენენ განმასხვავებლობას ვინაიდან, „CNH INDUSTRIAL“ შინაარსობრივად დაკავშირებულია დაპირისპირებული ნიშნის მფლობელ კომპანიასთან - „CNH GLOBAL N.V.“ რაც გულისხმობს, რომ არსებობს ნიშნებს შორის აღრევის და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა. აღნიშნულის გამო, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის

საფუძველზე, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქართველოში.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტის წარმომადგენელი სააპელაციო საჩივარში მიუთითებს, რომ მოხდა კომპანიების „კნჰ ინდუსტრიალ ნ.ვ.“ (CNH INDUSTRIAL N.V.) და „კნჰ გლობალ ნ.ვ.“ (CNH GLOBAL N.V.) შერწყმა და ამ შერწყმის შედეგად დაპირისპირებულ ნიშნებზე უფლებების გადაცემა. სააპელაციო საჩივარში, ასევე აღნიშნულია, რომ განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მიეკუთვნება ერთსა და იმავე კომპანიას „კნჰ ინდუსტრიალ ნ.ვ.“ (CNH INDUSTRIAL N.V.) (მის: კრანეს ფარმ როად, ბასილდონ ესსექს SS143 AD; გაერთიანებული სამეფო; Cranes Farm Road, Basildon ESSEX SS143AD, United Kingdom).

კოლეგიამ განიხილა აპელანტის არგუმენტაცია, შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2015 წლის 19 ოქტომბერს, საქპატენტის სასაქონლო ნიშნების მონაცემთა ბაზაში განხორციელებული ცვლილების თანახმად, დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებზე უფლებები გადაეცა აპელანტ კომპანიას - „კნჰ ინდუსტრიალ ნ.ვ.“ (CNH INDUSTRIAL N.V.). აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით, განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნების მფლობელს წარმოადგენს ერთი და იგივე კომპანია, შესაბამისად არ მოხდება სასაქონლო ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან დაპირისპირებული ნიშნები ეკუთვნის აპელანტ კომპანიას, ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გარემოებას, რომლის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი ,,მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის N02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „კნჰ ინდუსტრიალ ნ.ვ.“ (CNH INDUSTRIAL N.V.) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნას ცნობილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - ,,საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 27 მაისის N1757/03 ბრძანება.

3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „CNH INDUSTRIAL“ (საიდ. N77434/03, IR 1204105) მიენიჭოს დაცვა საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N17). გადაწყვეტილების გაცნობიდან/ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ს. მუჯირი

წევრები: ს. დუმბაძე

ა. დალაქიშვილი